# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის ოქმი

**№ 66**

ქ. თბილისი; 14 აგვისტო, 2020 წ. 12:00 სთ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

**ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)**

თინათინ ნიბლოშვილი

გიორგი ჩაკვეტაძე

ალექსანდრე ხუჯაძე

ნინო რუხაძე

ავთანდილ ცინცაძე

**მოწვეული პირები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი – **ვალერი ჭიღლაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი – **ირაკლი გვილავა**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე – **საბა ფიფია**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **ვასილ აბულაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე – **დავით ჯაიანი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი – **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი – **ნუცა ცქიტიშვილი**

სხდომის თავმჯდომარე:

**ლევან ჟორჟოლიანი**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგენილების პროექტი.
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
5. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.
8. ქალაქ თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებული 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.295) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
9. „ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.13.037.017)ე.წ. ყოფილი კოოპერატიული

ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.155.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
11. „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
12. "ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.016.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
13. "ქალაქ თბილისში, ზარზმის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.006.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
14. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუს N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.002.01.102) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
15. „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.044.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მევლიანისთვის“ (ს/ნ: 405338763) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
16. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსერბული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის“ (ს/კ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის N29.777.1009 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი“, ს/ნ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის“ (ს/ნ 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
19. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.080.01.500 და N01.15.07.003.080.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
20. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის VII ჩიხი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.004.02.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა **ბატონმა ვალერი ჭიღლაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემას, ქ. თბილისის მერიის **ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით.**

**ვალერი ჭირლაძემ ამომწურავად ისაუბრა** ბატონ ვახტანგ ლომჯარიას უმაღლესი განათლების და მრავალფეროვანი სამუშაო გამოცდილების/კვალიფიკაციის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ წარმატება უსურვა ვახტან ლომჯარიას და ისაუბრა** განკარგულების პროექტის პრეამბულაში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობასა და პროექტის სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად ჩამოყალიბებაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**2.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნუცა ცქიტიშვილმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ისაუბრა** ,,სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესისა და ,,სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ დებულების დამტკიცებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №15-49 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხებზე.

**ნუცა ცქიტიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ** პროექტით წარმოდგენილი, „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ (კოდი: 06 02 09) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ ითვალისწინებს შემდეგ საკითხებზე:

- წესში გამოყენებულია **ტერმინთა განმარტება,** რაც ერთგვარ ცვლილებას წარმოადგენს მოქმედ რედაქციასთან მიმართებით;
- კონკრეტდება **დაფინანსების მიღებისათვის,** როგორც მიმწოდებლის, ასევე დაფინანსების მიღების სურვილის მქონე პირის მიერ სამსახურისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
- პროექტით უფრო კონკრეტულად იქნა განისაზღვრული განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძვლებთან დაკავშირებული საფუძვლები.
- **დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირების კუთხით კი, წესში განისაზღვრება**, რომ სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურება უნდა მოხდეს მისი მიღებიდან 60 (სამოცი) დღის, ხოლო გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გააქტიურება უნდა მოხდეს მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, ასევე განისაზღვრა, რომ მიმწოდებლის მიერ გაცემული მოთხოვნის ფორმის ვალიდურობის საკითხი.
- მიმწოდებლისათვის თანხის ანაზღაურების მუხლში კონკრეტდება, საქართველოს ფარგლებში არსებული სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოდგენა ვადა, ასევე განისაზღვრება, რომ მიმწოდებლის მიერ ანგარიშგებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს, როგორც ჩაშლილი ასევე დაჯამებული ანგარიშფაქტურა.

**მომხსენებელმა ასევე ისაუბრა**, „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ დებულებით განსაზღვრულ საკითხებზე, ხოლო, **დასასრულს აღნიშნა,** რომ დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარის მითითებით**, სასურველია, დადგენილების პროექტის პირველი მუხლით დასამტკიცებელ „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 09) განხორციელების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან, ამოღებულ იქნეს „დ“ ქვეპუნქტი, რომლითაც ხორციელდება ტერმინი „მერის“განმარტება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ საბა ფიფიამ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ პროექტის **პირველი მუხლის თანახმად,** გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხის - დანართი 9-ის შესაბამისად, **თანამშრომლების საერთო რაოდენობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში იზრდება** არსებული **35–დან - 45 თანამშრომლამდე, კერძოდ კი:**

- სატყეო პოლიტიკის განყოფილებაში **– 7 საშტატო ერთეული, იზრდება 9–მდე;**
- ნებართვებისა და მონიტორინგის განყოფილებაში - **8 ერთეული, იზრდება 10 – მდე;**
- გარემოსდაცვითი მართვის განყოფილებაში - **8 ერთეული, იზრდება 10 –მდე;**
- მწვანე ლანდშაფტების დაგეგმარების განყოფილებაში - **7 ერთეული,იზრდება 11–მდე;**

**საბა ფიფიამ დასძინა,** პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან, ქალაქ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი უკვე ითვალისწინებს აღნიშნულ საკადრო ცვლილებას.

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა **ლევან ჟორჟოლიანმა კითხვებით მიმართა მომხსენებელს,** სატყეო პოლიტიკის, მწვანე ლანდშაფტებისა და ინფრასტრუქტურული მიმართულებით, მომავალი წლისათვის დაგეგმილი ღონისძიებების დაზუსტებასთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა საშტატო ნუსხის გაზრდის აუცილებლობა.

**მომხსენებელმა განმარტა, რომ** თბილისის გარშემო არსებულ ტერიტორიაზე სატყეო მიმართულებით მოხდა სრული ინვენტარიზაცია და შემუშავებულ იქნა ტყის მართვის 100 (ასი) წლიანი სამოქმედო გეგმა, რითაც გათვალისწინებულია კონკრეტული უბნების ხელოვნული გატყევება. დაწყებულია რიგი პროექტები, თუმცა მომავალი წლისათვის იგეგმა უფრო მასშტაბური ხასიათის ღონისძიებები, რასაც ესაჭიროება შესაბამისი საკადრო რესურსი, ამასთან დაამატა, რომ მიუხედავად, შესაბამისი ღონისძიებების ტენდერების შედეგად უზრუნველყოფისა, საქალაქო სამსახურს სატყეო პოლიტიკის მიმართულებით მინიჭებული აქვს ზედამხედველობითი უფლებამოსილება, რაც საჭიროებს ასევე, დარგის სპეციალისტების შესაბამის ოდენობას და დამატებით რესურსს.

**ბატონმა საბა ფიფიამ აგრეთვე ისაუბრა,** იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რაც დაგეგმილია ან უკვე ხორციელდება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ, კერძოდ, ისაუბრა, ვაკის პარკის, გლდანის, თემქისა და ვარკეთილის ტერიტორიაზე მდებარე გამწვანებული ტერიტორიების რეაბილიტაციასთან/მოწყობასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე. ამასთან დასძინა, რომ ინფრასტრუქტული თვალსაზრისით, როგორც მასშტაბური ხასიათის, ასევე მცირე ზომის საპარკე ტერიტორიების მოწყობის პროექტებსაც ესაჭიროება შესაბამისი საკადრო ძალა.

**ბატონმა ლევანმა დამაზუსტებელი კითხვა დაუსვა მომხსენებელს,** თუ რა ეტაპზე აქვს ადგილი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ჩართულობას, გეგმარების პროცესში, თუ უკვე ჩატარებული ტენდერის შემდგომ შემოთავაზებულ გეგმარებაზე ხორციელდება ზედამხედველობითი საქმიანობა.

**მომხსენებელმა განმარტა,** რომ გეგმარების პროცესში საქალაქო სამსახურის იღებს მონაწილეობას მხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლების გათვალისწინებით, გეგმარებითი დავალებისას, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართულობის გზით, ამასთან, ახორციელებს საპროექტო და სამშენებლო მონიტორინგს ინტენსიურ რეჟიმში.

**ბატონმა ლევანმა შეახსენა კომისიის წევრებს, რომ პროექტით წარმოდგენილი საკადრო ცვლილებას უკვე ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**4.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მოხსენების დასაწყისში, ბატონმა ირაკლი გვილავამ აღნიშნა,** რომ წარმოდგენილი პროექტის მიღება მიზნად ისახავს, დადგენილების პროექტით განსაზღვრული მუნიციპალური სერვისების განათლების, კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებისათვის გამარტივებული გზით მიწოდებას, ასევე ხელშეწყობას საქმიანობაში.

**მომხსენებელმა ისაუბრა,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამების „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 13) განხორცილების წეს“–ში (დანართი N1) **წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ ცვლილებებზე:**

- დაფინანსების მიმღებ სუბიექტს დაემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მეწარმე ფიზიკური პირი; მომხსენებლის განმარტებით, აღნიშნული ცვლილება მიმართულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწე პირების საქმიანობის ხელშეწყობისკენ, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული შეზღუდვების პირობებში, კულტურისა და ხელოვნების განვითარება მნიშვნელოვნად შეფერხდა;
- შინაარსობრივი გამართულობის მიზნით ხდება წინადადებათა ადგილმონაცვლეობა;
- განისაზღვრება, რომ საპროექტო განაცხადის წარდგენის ვადის დარღვევის შემთხვევაში, სამსახური წერილობით მიმართავს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კომისიისათვის პროექტის წარდგენის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ.
- წარმოდგენილი რედაქციით, პროექტის შემადგენელი ძირითადი აქტივის შესაძენად, თანადაფინანსება შესაძლებელია გაიცეს ღირებულების 80%-ის ფარგლებში, არაუმეტეს 7 000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით, საკონკურსო განაცხადის და თანდართული ინვოის(ებ)ის შესაბამისად, მხოლოდ პროგრამის „შემოქმედებითი თბილისი“ ფარგლებში.
- ემატება ახალი პუნქტი, რითაც, კონკრეტულ გათვალისწინებულ შემთხვევაში, თანადაფინანსება არ გაიცემა სატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერის ან მობილური ტელეფონის შესაძენად.“.
- შესაბამის მიმართულებებს პროგრამაში „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) დაემატება შემდეგი დარგები/მიმართულებები: ციფრული პლატფორმის შექმნა, კომიქსი; სახვითი ხელოვნება - ფერწერა, გრაფიკა, დეკორაციული ხელოვნება, ბეჭდვა/პრინტი; ხელნაკეთობა - ორიგამი, მინანქარი, მინა, ხე, კერამიკა; დიზაინი - ტექსტილი, ჭურჭელი, აქსესუარები, ავეჯი; ანიმაცია; ექსპერიმენტული მუსიკა; ფოტოგრაფია; ქუჩის მხატვრობა; საჯარო ხელოვნება.
- წესის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების გამონაკლისი მიმართულებებიდან ამოღებულია „პროზაული კრებული“.
- იზრდება კონკრეტულ შემთხვევებში საპროექტო განაცხადით/საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი **თანხის ოდენობა - 20 000 (ოცი ათასი) ლარი 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარით.**
- ტერმინი „იურიდიული პირი“ იცვლება „დაფინანსების მიმღები სუბიექტი“–თ.
- წესის მე-7 მუხლში გათვალისწინებული ცვლილება გულისხმობს მონიტორინგის პროცესში დაფინანსების მიმღები სუბიექტის მხრიდან მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციისა და სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცებული შესრულების ანგარიშის ფორმის შესაბამისად ინფორმაციის წარდგენას.

**ბატონმა ირაკლი გვილავამ, გარდა აღწერილი ცვლილებებისა,** ასევე ისაუბრა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამაში „პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა“ (კოდი 07 04) ქვეპროგრამების: „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 02 01), „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 01), „სპორტული ღონისძიებები“ (კოდი 08 06 01),

„ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი 08 08 01) განხორციელების წესი“ **(დანართი N2), პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ ცვლილებებზე:**

- **დაფინანსების მიმღებ სუბიექტებს დაემატება** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება), ასევე სტუდენტური კლუბები, ახალგაზრდული კლუბები, შემოქმედებითი ჯგუფები და საინიციატივო ჯგუფები.

**მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილების საჭიროება გამოწვეულია** მუნიციპალური პროგრამების განხორციელებაში ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხს გაუმჯობესებისა და ახალგაზრდული სექტორის განვითარების მიზნით.

**ბატონ ირაკლის მითითებით, დანართ N2–ით განსაზღვრული წესი ითვალისწინებს შემდეგს:**

- არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება), ამ წესის შესაბამისად, შეიძლება დაფინანსდეს მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამების „უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა“ (კოდი: 07 05 01) და „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 08 01) ფარგლებში, არაუმეტეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.
- მუნიციპალურის სერვისის მასშტაბური უზრუნველყოფისა და გამარტივებული ხელმისაწვდომობის მიზნით, ხდება შესაბამისი ხასიათის ცვლილებები, მათ შორის ტერმინოლოგიური ცვლილებები, დაინტერესებული პირის, საპროექტო განაცხადის ხარვეზის გამოსასწორების ვადის, ფულადი ერთეულის ნაწილში, მათი განზოგადების თვალსაზრისით.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია** პროექტის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით წარმოდგენილი წესის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტისაგან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხევაში, თუ პროექტის განხორციელების დაყოვნება სახელმწიფოებრივი, ადგილობრივი ან/და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების განხორციელებას შეაფერხებს ან/და შეუძლებელს გახდის. აღნიშნულ შემთხვევაში, სამსახური წერილობით მიმართავს კომისიის თავმჯდომარეს, **და წარუდგენს დაფინანსების მიმღები სუბიექტის დასაბუთებულ/მოტივირებულ განცხადებას, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარე იღებს გადაწყვეტილებას** კომისიისათვის პროექტის წარდგენის მიზანშეწონილობის ან მიზანშეუწონლობის შესახებ.“

**აღსანიშნავია, რომ** კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებულ **წინადადებას დაეთანხმნენ როგორც** კომისიის **წევრები, აგრეთვე, საკითხის მომხსენებელი.**

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**5.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – **ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა ისაუბრა** პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესი"–ს **მე-3 მუხლის $3^2$ პუნქტი** ყალიბდება ახალი რედაქციით.

**ბატონმა ვასილმა** მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დადგინდა სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური ზონების მიხედვით და პირველ („A") ზონაში განისაზღვრა 1 საათი 1 ლარის ოდენობით, აღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის №19.670.876 განკარგულებას დაემატა დანართი 2, რითაც განისაზღვრა სატრანსპორტო საშუალებების მიწისქვეშა ზონალური პარკირების ადგილები პირველი („A")ზონისათვის (1 საათი-1ლარი) პარკირების ადგილების საერთო რაოდენობით 162.

**მომხსენებელმა მიუთითა,** რომ ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს ცვლილებების ასახვას ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესში", **აქვე დასძინა, რომ** დაკვირვების შედეგად, მიწისქვეშა ზონალური პარკირების განსაზღვრული ადგილების მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლების ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, **მიწისქვეშა პარკირების შემთხვევაში სხვა ზონალური პარკირებისთვის დადგენილი 100 მეტრის რადიუსის პრინციპისგან განსხვავებული უფრო მეტი, კერძოდ 250 მეტრის რადიუსის განსაზღვრა,** რათა მიმდებარე ტერიტორიაზე მაცხოვრებლებმა შეძლონ ზემოაღნიშნული შეღავათით სარგებლობა.

მომხსენებელმა მიუთითა, რომ დადგენილება, დამტკიცების შემთხვევაში, **ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.**

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩამატების მიზანშეწონილობასა და პროექტის პრეამბულას შესაბამისად ჩამოყალიბების საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**6.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, ვაკის რაიონში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრების და მოძრაობის ორგანიზებაში ცვლილებების განხორციელებიდან გამომდინარე საჭიროებას წარმოადგენს ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) №5, №21, №58, №66, №82, №83, №87, № 88 და№140 მარშრუტების მოძრაობაში ცვლილებების შეტანა.

დავით ჯაიანმა მიუთითა, რომ დადგენილების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით, ცვლილება შედის,** ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 **დადგენილებაში და პირველი პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით,** რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს №20.903.1125 განკარგულების პირველი პუნქტით დადგენილი, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცებას,** დანართის შესაბამისად,

რისი საჭიროებაც **განაპირობებულ იქნა,** ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე, სარეაბილიტაციო სამუშაოების დამთავრებისა და მოძრაობის ორგანიზებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებიდან გამომდინარე.

**დავით ჯაიანმა მიუთითა,** რომ ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, 2020 წლის 12 აგვისტოს N20.903.1125 განკარგულებით დადგინდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშტრუტები, დანართის შესაბამისად და დამტკიცების მიზნით წარედგინა ქალაქ თბილისის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) **შემდეგ მარშრუტებში ცვლილების საკითხი: N8, N218, N137, N4, N15, N73, N120, N44, N128.**

მომხსენებლის მითითებით, დადგენილების ამოქმედებისათვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის, ხოლო, პროექტის ამოქმედების თარიღად, აღნიშნულია – გამოქვეყნებიდან მე–5 დღე.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ** მიზანშეწონილად მიიჩნია, დადგენილების პროექტის პირველი მუხლის პრეამბულაში სწორი რედაქციით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17–47 დადგენილების სათაური და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**8.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, იქნა „ქალაქ თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებული 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.295) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დასახლება ოქროყანაში არსებული 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემას ეკლესიის მშენებლობის მიზნით, აგრეთვე ისაუბრა, პროექტით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან გარემოებებზე:

- კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა დეკანოზ მიქაელ ბოტკოველმა წერილით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთის გადაცემა.
- სსიპ - ურბანული განვითარების სამსახურის წერილით, მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სატყეო ზონა, სატყეო ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე ასევე დასაშვებია საკულტო და კანონმდებლობით განსაზღვრული საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხაზობრივი - საინჟინრო შენობა-ნაგებობების განთავსება.
- გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის სამსახური თანახმაა განხორციელდეს წარმოდგენილი ტერიტორიის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე, სატყეო ზონაში საკულტო ნაგებობის მშენებლობის მიზნით.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ წერილით მიმართა სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი პოზიციის მიღების მიზნით, ხოლო, სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტომ გასცა დადებითი რეკომენდაცია.

**მარიამმა დასასრულს დასძინა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურის ფასის – 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ,** სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პრივატიზება შემდეგი მნიშვნელოვანი საპრივატიზებო პირობით:

- **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ხმართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.295) განხორციელდეს ეკლესიის მშენებლობა.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – **ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.18.13.037.017) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის, ფაქტობრივი მოსარგებლეებისა და

ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“ (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩა N9–ში მდებარე 17 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, ე.წ ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული შპს „პერსპექტივასათვის“პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთან შეთანხმებას.

**მარიამმა აღნიშნა, რომ** ქ. თბილისის მერიის მიერ გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ ქ. თბილისში, დასახლება ზემო ფონიჭალა, კორპუსი N20, ნაკვეთი (37/017)-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ჯამში 17 500 კვ.მ.) მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.18.13.037.017) საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა **(მინიმალური ფართობი კ2=2.5-ის გათვალისწინებით - 4000 კვ.მ.)** და აშენებულ შენობა-ნაგებობაში განსაზღვრული ოდენობის ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ (შემდგომში - „ინტერესთა გამოხატვა“). **ერთადერთი კომპანია, რომელმაც დააკმაყოფილა ინტერესთა გამოხატვის პირობები იყო შპს „პერსპექტივა“, მან წარადგინა ქონების მიმღები პირებისთვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით) შეთავაზება 4000 კვ.მ-ის ოდენობით.** შესაბამისად, ინტერესთა გამოხატვის გამარჯვებულად, აღნიშნული კომპანია გამოცხადდა.

**მომხსენებელმა ისაუბრა განკარგულების დანართებზე და აღნიშნა შემდეგი:**

- დანართი N1 მოიცავს, 55 ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული წევრების/მათი უფლებამონაცვლეების ჩამონათვალს, რომელთაც საკუთრებაში გადაეცემა N01.18.13.037.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან მიწის ნაკვეთები შესაბამისი ოდენობებით, ასევე, ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული კომპანიისათვის სიმბოლურად 1 კვ.მ ფართის გადაცემის საკითხს.
- დანართი N2 მოიცავს ზემოაღნიშნულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს, ამასთან, ითვალისწინებს ხელმომწერი მხარეებისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობებს და შესაბამისი პროპორციით განსაზღვრულ, კომპანიის მიერ, მათთვის გადასაცემ, თეთრი კარკასის მდგომარეობით საცხოვრებელი ბინების ფართობების ოდენობებს.

**ამასთან, მარიამმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კოოპერატივის წევრებმა სააგენტოში წარდგენილი სანოტარო აქტების საფუძველზე, განაცხადეს, რომ თანახმანი არიან,** მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, საკუთრებაში მიიღონ 01.18.13.037.017 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებიდან ამ განკარგულების დანართებით გათვალისწინებული შესაბამისი წილი, მოგვიანებით კომპანიის მიერ მიწის ნაკვეთზე განვითარებულ სამშენებლო პროექტში

კონკრეტული ფართის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით) მათთვისგადაცემის გათვალისწინებით.

**მომხსენებელმა დეტალურად აღწერა ის კრიტერიუმები,** რითაც დადგენილი იქნა დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობა, კერძოდ:

- **განკარგულების დანართ N1-ში მითითებული კოოპერატივების წევრების სიის ფორმირება განხორციელდა ტერიტორიულობის პრინციპისა და სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული დაბალი სარეიტინგო ქულების გათვალისწინებით.** სიის ფორმირებისას გათვალისწინებულია სააგენტოში ამ განკარგულების გამოცემის დროისათვის არსებული იმ პირთა მონაცემები, რომელთაც კოოპერატიული ბინები უნდა მიეღოთ ფონიჭალის ტერიტორიაზე, კერძოდ, განკარგულების დანართი 1-20 პუნქტებით გათვალისწინებულია ყოფილი N659 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის იმ წევრების დაკმაყოფილება, რომელთაც, აღნიშნული პერიოდისათვის სააგენტოში წარდგენილი ჰქონდათ სრულყოფილი დოკუმენტაცია - ყველა ის საჭირო დოკუმენტი, რაც, მათი, როგორც დაზარალებული პირების, იდენტიფიცირების და დაკმაყოფილების საშუალებას იძლეოდა.

**დასასრულს მარიამმა მიუთითა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მთავრობის განკარგულების დანართი N1–ით გასაზღვრული კოოპერატივის წევრები, ამავე დანართით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან შესაბამისი წილის მიღების სანაცვლოდ, უარს აცხადებენ მათ მიმართ არსებულ, ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმდჯომარემ ისაუბრა პროექტთან დაკავშირებულ ხარვეზებზე:

- **მიზანშეწონილია სამართლებრივი საბუთების ნაწილში მითითებულ იქნას:** ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 31 ივლისის N20.843.1067 და 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებები, რაც განსაზღვრავს კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელა ღონისძიებებს, მათ შორის, ადგენს დასაკმაყოფილებელ პირთა რიგითობის კრიტერიუმებს, ხოლო, სამართლებრივი საფუძვლები ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.
- **ტექნიკური თვალსაზრისით გასწორდეს პროექტის სათაური,** უძრავი ქონების მისამართის ნაწილში, საჯარო რეესტრის უახლესი ამონაწერის შესაბამისად, ასევე, ამოღებულ იქნას სიტყვები „ფაქტობრივი მოსარგებლეები", ხოლო, ჩაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების", ვინაიდან, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მხოლოდ კოოპერატივის წევრებისათვის/მათი უფლებამონაცვლეებისათვის მიწის ნაკვეთის გადაცემის საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებას და სათაური ჩამოყალიბდეს შესაბამისი შესაბამისი რედაქციით.
- სასურველია, პროექტის პირველ პუნქტში მთავრობის განკარგულების სათაურის მითითებისას გასწორდეს მცირე ტექნიკური ხარვეზები და მიეთითოს შესაბამისი რედაქციით.

- **განკარგულების დანართ 2–ში,** სასურველია, უძრავი ქონების მისამართი მიეთითოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უახლესი ამონაწერის მიხედვით, ამასთან, ყველა შესაბამის ნაწილში, „კოოპერატივის წევრების" მითითებისას, ასევე აღნიშნულ იქნას „მათი უფლებამონაცვლეები" ვინაიდან, ქონება გადაეცემა შესაბამისი კოოპერატივის წევრებს ან კონრეტული წევრების უფლებამონაცვლეებს.

**აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისის თავმჯდომარის** მიერ **მითითებული შენიშვნები.**

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიიდული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N3ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.003.155.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მარიამმა აღნიშნა,** რომ პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი N3ბ-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 14.91 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი), ლარად მოქალაქე ცისანა ტყებუჩავასთვის გადაცემას, ამასთან ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ცისანა ტყებუჩავამ და ითხოვა მის ფაქტობრივ მფლობელობაშიარსებული 14.91 კვ/მ საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა. აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად, ისნის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს.

- ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც შესაბამის პირთა ნოტარიულად დამოწმებული აქტების, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს მიერ გაცემული დოკუმენტით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით კი ცისანა ტყებუჩავაზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

**მოხსენების დასასრულს მარიამმა მიუთითა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ მოიწონა და შესაძლებლად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:
**ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტის მიმართ არსებულ შენიშვნებზე,** კერძოდ, პროექტის სათაურისა და მე–2 მუხლის სწორი რედაქციით ჩამოყალიბებაზე, ამასთან, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის - სიმბოლური ფასის 1 (ერთი) ლარის მითითებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ**, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იქნა „ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს,** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.07.031.027*),* დანართი N1-ით მოცემულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას** და ამასთან ისაუბრა, პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე:

- ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქეებმა: მამუკა შეყილაძემ, ნინო არველაძემ, ნინო არაზიძემ, ბორის ნემსიწვერიძემ, მზია მინდიაშვილმა, თინათინ ტოპეშაშვილმა, მამუკა მარგველაშვილმა, ნანა შველიძემ და ბაჩანა ბასილაიამ და ითხოვეს მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების, საკუთრებაში გადაცემა.
- მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, **აღნიშნული პირების 1990-2010 წლებიდან** ქალაქ თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩა N17-ში ცხოვრებისა და ფლობის ფაქტი, ხოლო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილი, ზემომითითებული პირები ნამდვილაც ცხოვრობენ უძრავ ქონებაში 1990–2008 წლებიდან.
- ისნის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ზემომითითებულ პირთათვის დაკავებული უძრავი ქონების – სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემასთან დაკავშირებით.

**მოხსენების დასასრულს მარიამმა მიუთითა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას, განკარგულების დანართი№1-ით წარმოდგენილ პირთათვის და აღნიშნული საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სათაურის, პირველი პუნქტისა და მე–2 მუხლის სწორი რედაქციით ჩამოყალიბებთან, ასევე, პროექტის პირველ მუხლში საპრიტიზებო საფასურის მითითებასთან დაკავშირებით. ამასთან დასძინა, რომ მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის დანართ №1-ში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და მოქალაქე ბორის ნემსწვერიძის (პ/ნ:01011028410) გვარი მიეთითოს სწორად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მიკრო/რაიონის, კორპუს N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.016.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა, რომ** პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლების III მ/რ, კორპუს N35-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე **ლევან ქავთარაძისათვის** (პ/ნ 01025022369), რომელიც 21 წელია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას, ამასთან, ისაუბრა შემდეგ გარემოებებზე:

- საბურთალოს რაიონის გამგეობას განცხადებებით მიმართა მოქალაქე **ლევან ქავთარაძემ** და ითხოვა მის მიერ დაკავებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა.
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილით დასტურდება, რომ მოქალაქე **ლევან ქავთარაძე** ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
- საბურთალოს რაიონის გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ განხორციელდა მითითებული ფართის დათვალიერება და არსებული მდგომარეობის შესწავლა. შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებელი ლევან ქავთარაძე თავის ოჯახის ხუთ წევრთან ერთად 1996 წლიდან დღემდე ცხოვრობს ქ.თბილისში, დიდ დიღომში, მე-3 მ/რ-ში, N35 კორპუსში მდებარე N48ა ბინაში, მისივე განმარტებით, მას ასევე გააჩნია საცხოვრებელი სახლი ფასანაურის რაიონში, ხოლო რაც შეეხება საბურთალოს რაიონის გამგეობის პოზიციას, საბურთალოს რაიონის გამგეობა არ არის წინააღმდეგი უფლებამოსილების ფარგლებში გატარდეს შემდგომი პროცედურები წერილით განსაზღვრულ საკითხთან დაკავშირებით.

**დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ ქალაქ თბილისის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის და საკითხის თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.

აზრი გამოთქვეს:
**კომისიის თავმჯდომარე მიზანშეწონილად მიიჩნევს,** განკარგულების სათაურში სიტყვის „შეთანხმების" ჩამატებას, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურისა მითითებასა და მთავრობის განკარგულების ნაწილში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას, აგრეთვე, ტექნიკური თვალსაზრისით განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის რედაქტირებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, იქნა "ქალაქ თბილისში, ზარზმის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.006.01.056) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ზარზმის ქუჩა N7-ში მდებარე უძრავი ქონების მოქალაქე **აზა სებისკვერაძისათვის**, რომელიც 10 წელია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებასპირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას,** აგრეთვე ისაუბრა პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე:

- გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებებით მიმართა მოქალაქე **აზა სებისკვერაძემ** და ითხოვა მის მიერ დაკავებული ფართის სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა.
- სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქალაქ თბილისში, ზარზმის ქუჩა №7, სართული IV, ბინა №56, ფართით 32.49კვ.მ ფართის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემასთან, შემდგომში მოქალაქე აზა სებისკვერაძისათვის საკუთრებაში, პრივატიზაციის ფორმით, სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით.
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილით მოქალაქე აზა სებისკვერაძე და მისი ოჯახის წევრები სააგენტოს დევნილთა მონაცემთა ბაზაში არ არიან რეგისტრირებულნი.

- უძრავ ქონებაში ცხოვრები ფაქტი დასტურდება, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს, პოლიციის IV განყოფილების წერილით, ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „იმედი“-ს კრების ოქმით და გლდანის რაიონის გამგეობის ავჭალა, გლდანისხევის საუბნო განყოფილების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, აზა სებისკვერაძის საკუთრების უფლება რეგისტრირებულია ახალციხის მუნიციპალიტეტში, 2 (ორი) მიწის ნაკვეთი.
- სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტომ მოქალაქე აზა სებისკვერაძეს აცნობა რომ მის დაინტერესებაში არსებულ უძრავ ნივთზე (ს/კ N01.11.05.033.006.01.056) სააგენტოს მიერ განხორციელდა უმკვიდროდ ცნობის და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისათვის საჭირო ღონისძიებები, ასევე, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში გადაცემის მიზნით ღონისძიებები.

**მარიამმა დასასრულს აღნიშნა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავის ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის და საკითხის შესაბამისი ხელშეკრულების პირობებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**
**კომისიის თავმჯდომარე ისაუბრა** პროექტის სათაურში სიტყვის „შეთანხმების“ ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითებასა და ტექნიკურად განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის სწორი რედაქციით ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**14.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილის საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუს N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.008.002.01.102) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი საქსოფმანქანა) I მიკრორაიონის კორპუს N13-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 36.57კვ.მ ფართობის, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მოქალაქე ციალა ქართველიშვილისთვის პრივატიზებას, ასევე, ისაუბრა შემდეგ გარემოებებზე:

- სამგორის რაიონის გამგეობას მიმართა მოქალაქე ციალა ქართველიშვილმა და ითხოვა შუამდგომლობის გაწევა თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონების პრივატიზების საკითხზე, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად სამგორის რაიონის გამგეობამ, რეკომენდაციით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

- უძრავ ქონებაში 1991 წლიდან ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც მოქალაქეების: ხათუნა ქართველიშვილი, რუსუდან ხიხაძე და მზია ვართანოვა ნოტარიულად დამოწმებული აქტების თანახმად, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს წერილის მიხედვითაც, რაც ადასტურებს ციალა ქართველიშვილი მიერ, 1991 წლიდან დღემდე, ოჯახთან ერთად, ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ციალა ქართველიშვილზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, **რეგისტრირებული არ არის.**

**მომხსენებელმა დასძინა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემას დაინტერესებული პირისთვის და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურისა და მე–2 მუხლის სწორი რედაქციის ჩამოყალიბების მიზანშეწონილობაზე, ასევე, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის სიმბოლურ ფასის – 1 (ერთი) ლარის მითითების საკითხზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**15.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.18.03.044.017) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მეველიანისთვის"

(ს/ნ: 405338763) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მევლიანისთვის" იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 2029 წლის 1 ივლისამდე ვადით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით. ამასთან ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- შპს „მევლიანის" დირექტორმა, რომლის სარგებლობაშია ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №27/ანტონ კათალიკოსის ქუჩა №15-ში მდებარე უძრავი ქონება 2029 წლის 1 ივლისამდე ვადით, განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა ქ.თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა № 27-ის მიმდებარედ არსებული 319 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქ. № 27-ის მიმდებარედ არსებული, მიწის ნაკვეთიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ორთოფოტოზე მონიშნული **21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 3780 ლარით;**

**მოხსენების დასასრულს მარიამმა აღნიშნა** რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული, 21 კვ. მ. ფართობის რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, **2029 წლის პირველ ივლისამდე ვადით,** საიჯარო ქირის წლიური საფასურის - **3780** (სამი ათას შვიდას ოთხმოცი) **ლარის სანაცვლოდ გადაცემის საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" დამატებისა და ტექნიკური ხარვეზები გასწორების, აგრეთვე, პროექტის მე–3 პუნქტში განკარგულების გასაჩივრების ადგილის სწორი მისამართის მითითების მიზანშეწონილობაზე.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

**16.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსერბული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ:

01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/კ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 ივლისის N29.777.1009 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 ივლისის N170 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ:

- მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაეცა სს „ვენჯორჯიას", ღია კაფეს განთავსების მიზნით. წლიური საიჯარო ქირის საფასურად განისაზღვრა 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარი, ხოლო სარგებლობის ვადად 2022 წლის 31 დეკემბერი.
- 2020 წლის 22 ივნისს სს „ვენჯორჯიას" წარმომადგენელმა ელექტრონული განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა შესაბამის აქტებში ცვლილების შეტანა და ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული **3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად 9 კვ.მ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემა**, ღია კაფეს მოსაწყობად.
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის საორიენტაციოდ განისაზღვრა **2 160 (ორი ათას ას სამოცი) ლარით.**

**მომხსენებლის განმარტებით,** ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული ცვლილებების ასახვას „ ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N37-39-ის მიმდებარედ არსებული 3833 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.14.14.003.201) 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის სს „ვენჯორჯიასთვის" (ს/ნ: 404885335) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 აგვისტოს N246 განკარგულებაში.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** პროექტის სათაურის, პირველი პუნქტისა და მე–2 პუნქტის რედაქტირება როგორც ტექნიკური, ასევე სტილისტური თვალსაზრისით და განკარგულების პროექტის აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**17.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – **ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/ნ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „სითი ბოქსის" (ს/ნ 439402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი", ს/ნ 439402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1 პუნქტის 2.1.1 ქვეპუნქტში ცვლილებას, ამასთან, მარიამმა ისაუბრა შემდეგ საკითხებზე:

- სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს "კონსალტინგ გრუპს" (უფლებამონაცვლე: შპს „სითი ბოქსი") შორის 2017 წელს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების და შესაბამისი განკარგულებებით ხელშეკრულებაში შესული ცვლილებების თანახმად, მოიჯარე ვალდებულია განათავსოს რეტერატ(ებ)ი (საზოგადოებრივი საპირფარეშო) დანართი N2-ით გათვალისწინებული რენდერის შესაბამისად და მიიღოს ექსპლუატაციაში დანართ N3-ში მითითებულ ლოკაციებზე (გარდა N5 ლოკაციისა) არაუგვიანეს 2018 წლის 20 აგვისტოსი, დანართი 3-ის N5 ლოკაციაზე და დანართი 4-ის ლოკაციებზე (გარდა N2 ლოკაციისა) არაუგვიანეს 2019 წლის 31 ივლისისა, ხოლო დანართი N4-ის N2 ლოკაციაზე არაუგვიანეს 2020 წლის 30 აპრილისა.
- მოიჯარემ განცხადებებით მიმართა სააგენტოს და აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დანართი N1-ის N3 ლოკაცია - **რიყის ტერიტორია წარმოადგენს პრობლემურ ადგილმდებარეობას რეტერატის განსათავსებელად,** ვინაიდან, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" მოიჯარეს 2020 წლის 22 ივნისის წერილით მიაწოდა წყალმომარაგების და წყალარინების გარე ქსელის მოწყობის ხარჯთაღრიცხვა, რომლის ღირებულება ჯამში შეადგენს 120 912 ლარს, რაც მოიჯარისთვის კომერციული თვალსაზრისით მისაღები არ არის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოიჯარემ მოითხოვა ლოკაციის ადგილმონაცვლეობა რიყის პარკის ტერიტორიაზე წერილის დანართით წარმოდგენილი ორთოფოტოს შესაბამისად. **ამასთანავე, მოიჯარემ მოითხოვა რეტერატის განსათავსებლად ვადა 2020 წლის ოქტომბრამდე და დარიცხული პირგასამტეხლოს პატიება.**
- მოიჯარის მიერ დანართი N1-ის N3 ლოკაციაზე - რიყის ტერიტორიაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული **რეტერატის განთავსების ვადა ამოიწურა 2020 წლის 30 აპრილს, ამდენად, 2020 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობით, მოიჯარეს ერიცხება ხელშეკრულების 3.7 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლო, 98,000 (ოთხმოცდათვრამეტი ათასი) ლარის ოდენობით.**
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი **კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს**

**გადაწყვეტილების საფუძველზე, ქ. თბილისში, რიყის ტერიტორიაზე რეტერატის განთავსების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.**

**მარიამის განმარტებით,** ვინაიდან, ობიექტური გარემოებების გამო, მოიჯარის მიერ ვერ ხერხდება რეტერატის განთავსება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილმდებარეობაზე - რიყის ტერიტორიაზე, სააგენტომ მიზანშეწონილად მიაჩნია რეტერატის ადგილმონაცვლეობა, ხოლო მოიჯარის გათავისუფლება ხელშეკრულების 2.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის, ხელშეკრულების 3.7 პუნქტის საფუძველზე, 2020 წლის 30 აპრილიდან (დღეში 1000 ლარი) დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

**მოხსენების დასასრულისაკენ, მარიამ კვერნაძემ დასძინა, რომ** წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა იწონებს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე შეთანხმების პროექტს, რომლის თანახმად ხელშეკრულების დანართი N1-ში მოცემული N3 ლოკაცია - ქ. თბილისში, რიყის ტერიტორია (ს/კ: 01.17.01.065.065) **ჩანაცვლდება ამავე ტერიტორიაზე, შუშის ხიდთან მდებარე ლოკაციით (ს/კ: 01.17.01.065.065).** ამასთან, ცვლილება შედის ხელშეკრულების 2.1.1. პუნქტში, იმგვარად, რომ **აღნიშნულ ლოკაციაზე რეტერატის განთავსების ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2020 წლის პირველი ოქტომბრისა.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

**18.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N233 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებელმა აღნიშნა,** რომ პროექტი ითვალისწინებს, ქ თბილისის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N233 განკარგულებაში ცვლილების განხორციელებას და ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე:

- შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, გიორგი ახალშენიშვილს იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, 5 წლის ვადით გადაეცა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი 4,061 კვ.მ-დან, განკარგულებისა და იჯარის ხელშეკრულების დანართი N1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად,10 კვ.მ მიწის

ნაკვეთი, ღია კაფეს მოწყობის მიზნით და ყოველწლიური საიჯარო ღირებულებად განისაზღვრა 1,800 (ათას რვაასი) ლარი;

- მოიჯარემ განცხადებით მიმართა მეიჯარეს და **ხელშეკრულების დანართი N1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის ადგილმდებარეობა არასწორად შედგენის გამო,** ითხოვა იჯარით გადაცემული 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის დაზუსტების მიზნით ხელშეკრულების დანართი N1-ში ცვლილების შეტანა.
- ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით, ცვლილება შევიდა „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4,061 კვ.მ ფართობის ტერიტორიიდან (ს/კ:01.16.05.032.024) 10 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მთავრობის 2018 წლის 16 ივლისის N18.545.828 განკარგულების დანართი N1-ით წარმოდგენილ სიტუაციურ ნახაზში და განისაზღვრა წინამდებარე განკარგულების დანართით წარმოდგენილი ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად.

**მომხსენებელმა დაამატა, რომ შემუშავდა ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, აღნიშნული ცვლილებების ასახვას** „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. ფართობის ტერიტორიიდან (ს/ნ: N01.16.05.032.024) 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ახალშენიშვილისთვის (პ/ნ: 01019005452) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 აგვისტოს N233 განკარგულებაში.

აზრი გამოთქვეს:

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის მითითების მიზანშეწონილობაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ –ქონების მართვის სააგენტოს იურიდული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქ. თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N13-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.080.01.500 და N01.15.07.003.080.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა № 13-ში, პირველ და მე-2 სართულებზე მდებარე 89.46 კვ. მ. და 90.49 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონების მოქალაქე ნარგიზა ამირანაშვილისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებით გადაცემას და **ისაუბრა** შემდეგ გარემოებებზე:

- მოქალაქე ნარგიზა ამირანაშვილმა განცხადებით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგეობას, მის მიერ დაკავებული ფართის, სიმბოლურ ფასად, მისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, თავის მხრივ, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ შუამდგომლობის წერილით მიმართა ქ. თბილისის მერიას წარდგენილ თხოვნასთან დაკავშირებით;
- უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი დასტურდება, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილით წარდგენილი გასაუბრების ოქმის, ასევე, მოქალაქეების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებით, სადაც მითითებულია, რომ ნარგიზა ამირანაშვილი უკვე 30 წელია ცხოვრობს მისამართზე: თბილისი, ოქროყანა, გურამიშვილის 13;

**დასკვნის სახით, მარიამმა აღნიშნა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა № 13-ში, პირველ და მე-2 სართულებზე მდებარე 89.46 კვ. მ. და 90.49 კვ. მ. ფართობის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, მოქალაქე მოქალაქე ნარგიზა ამირანაშვილისთვის (პ/ნ: 01017033027) სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა** განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების და ტექნიკური ხარვეზების გასწორების, ასევე, პროექტის პირველ პუნქტში ქალაქ თბილისის მთავრობის 2020 წლის 5 აგვისტოს №20.857.1065 განკარგულების სათაურის სწორი ფორმით მითითების, ტექნიკური ხარვეზების გასწორების და საპრივატიზებო საფასურის მითითების და ასევე, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი სტილისტური თვალსაზრისით გამართულობის მიზანშეწონილობაზე.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად

**მოისმინეს:**

**20.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსმა მარიამ კვერნაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იქნა "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის VII ჩიხი N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.004.02.002)

მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის მითითებით,** პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის VII ჩიხი N8-ში,პირველ სართულზე, ბინა N2-ში მდებარე 72.50 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების მოქალაქეები: ლილი შაიაშვილისთვის (პ/ნ: 01021015961) და მარინე შაიაშვილისთვის (პ/ნ: 01021009786) თანასაკუთრებაში, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებას.**

**მარიამმა ისაუბრა შემდეგ გარემოებებზე:**

- მთაწმინდის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ლილი შაიაშვილმა და ითხოვა, მისი ოჯახის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაეცეს მას და მის შვილს მარინე შაიაშვილს.
- უძრავ ქონებაში ცხოვრები ფაქტი დასტურდება, როგორც მეზობლების სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობით, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს წერილით, რითაც დასტურდება, რომ ლილი შაიაშვილის ოჯახი დაახლობით 30 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.
- მთაწმინდის რაიონის გამგებელმა წერილობითი შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მერს და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვა, არადევნილი სტატუსის მქონე მოქალაქეებს: ლილი შაიაშვილის და მარინე შაიაშვილის, რომლებიც მრავალი წელია ფლობენ და სარგებლობენ, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის VII ჩიხი N8-ში, პირველ სართულზე, მდებარე 72.50 კვ.მ უძრავ ქონებით, გადაეცეთ თანასაკუთრებაში სიმბოლურ ფასად .
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ზემოაღნიშნულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

**მარიამმა აღნიშნა, რომ** ქალაქ თბილისის მთავრობა, მიზანშეწონილად მიიჩნევს უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად, ლილი შაიაშვილისთვის და მარინე შაიაშვილისთვის თანასაკუთრებაშიგადაცემას და საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენას.

**აზრი გამოთქვეს:**

**კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა,** პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების" ჩამატების, პროექტის პირველ პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების, ასევე, ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორების მიზანშეწონილობაზე, როგორც პირველ პუნქტში, ასევე, პროექტის მე–2 მუხლში.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე** ლევან ჟორჟოლიანი

**სხდომის მდივანი** თამთა კაკოიშვილი